გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცუგი ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგას დოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1893 — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1893


## ივერიის რედაქციისაგან

მოვაგონებთ ჩვენს ხელის მომწერთ, სოფლის მასწავლებელთ გარდა, რომ ვისაც მხოლოდ ხუთი მანეთი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, დანარჩენიც უნდა გამოჰგზავნონ პირველ მაისამდე. ვინც ამ დრომდე არ გამოჰგზავნის დანარჩენს ფულს ნაწილ-ნაწილად მაინც, გაზეთის გზავნა მოესპობა პირველ მაისიდგან.

---


ფარმაციის მაგისტრი

**ფ. ოტტენი**

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა წლის 1 მაისიდგან თავს ანებებს ტფილისის სამოქალაქო სამკურნალო აფთიაქს და გადადის სოლოლაკის აფთიაქში, რომელიც უწინ ეკუთვნოდა მკურნალს შაჰ-პარონიანცს; და ეხლა ეს აფთიაქი ფ. ოტენმა შეისყიდა საკუთრებად. (2—2)


---

## საჭირო განაჩენი *)

—

„პირველი საძირკველი კახეთის დამშეულთა დახმარებისა უკვე ჩავარდა. გუშინ ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ საგანგებო თანხიდამ მიეცეს გაჭირვებულთა სამასი თუმანი.

ეს შესაწევარი, რასაკვირველია, ვერ აღმოუჩენს დამშეულთ თვალსაჩინო შემწეობას, მაგრამ თავად-აზნაურობის მხრით, მაინც მოსაწონი საქციელია.

უმთავრესი მნიშვნელობა ამ დადგინებისა ის არის, რომ კრებამ ერთხმად აღიარა შიმშილი კახეთში.

ამას შემდეგ მცირეოდენი იჭვიც აღარ შეიძლება იქონიოს ვინმემ, რომ კახეთი ნამდვილად დიდ განსაცდელში არ იყოს ამ ჟამად: თავად-აზნაურობის კრებამ, რამდენადაც შეეძლო, შეასრულა თავის მოვალეობა—ეხლა რიგი საზოგადოებაზედ არის. საზოგადოებამ, როგორც გუშინაცა ვსთქვით, ეხლავე უნდა დააარსოს: „დამხმარებელი კომიტეტი დამშეულთათვის“

ეს კომიტეტი მიიწვევს ამ საქვეყნო გასაჭირის დროს ისეთ კაცთა, რომელთაც შეუძლიათ საქმეს დაეხმარონ. აქ ყველაფერი საჭიროა; საჭიროა: რჩევა, გამოცდილება, ენერგია, ჯაფა, საშუალება. ვინც რაში და როგორც გამოდგება, კომიტეტი იმის და გვარად განაწილებს თავის წევრთა შორის მოვალეობას.

ამ კომიტეტში ქალებმაც ისეთივე მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ, როგორც კაცებმა. ვფიქრობთ, ქალები უფრო სასარგებლონიც იქმნებიან, რადგანაც საზოგადოდ ქალს უფრო ფაქიზი და მგრძნობიარე გული აქვს ვიდრე კაცს; დარწმუნებული ვართ, რომ ქართველი მაღალი საზოგადოება მოეკიდება ამ საქმეს ჯეროვნის ყურადღებითა და სიყვარულით.

ხალხს, რომელსაც ორი-ათასი წელიწადი უსაზრდოებია ქვეყნის უმაღლესი წოდება, იმედი უნდა ჰქონდეს და უფლებაც, რომ გასაჭირში ამ წოდებამ ცოტაოდენი ვალი მაინც გადაუხადოს იმას. ამ ნაირს სამაგიერო სამსახურსა და შრომას მოითხოვს თვით სამართლიანობა!

პირველი მცნება ჩვენის მაცხოვრისა, რომლის სახელზე ამოდენი ეკკლესიები და ტაძრები გვაქვს აგებული, არის: სიყვარული კაცთა შორის! ვისაც ქვეყანა უყვარს, ის მარტო გარეგანი ქრისტიანული წესის შესრულებით არ დაკმაყოფილდება. ნამდვილი ქრისტიანი ის არის, ვინც საქმით ამტკიცებს ქრისტეს სიყვარულს. „სარწმუნოება თვინიერ საქმისა მკვდარ არს“, ამბობს მოციქული.

და რომ ჩვენს საზოგადოებაში ენერგიაც და საზოგადო საქმისთვის შრომის სურვილიც საკმაოდ არის—ამას თვით ეხლანდელი სათავად-აზნაურო ბანკის კრება გვიმტკიცებს.

იმის ნახევარი მეცადინეობაც რომ გასწიონ კახელების დასახმარებლად, რაც ბანკის არჩევნების საქმეს მოანდომეს, დარწმუნებული ვართ, თუ მთლად არა—სანახევროდ მაინც შემსუბუქდება დამშეულთა მდგომარეობა. კიდევ ვამბობთ: ხალხის ასეთს განსაცდელის დროს საჭიროა სიჩქარე. სიჩქარე და სიჩქარე!

მეველე

*) გუშინდელი წერილი: „კახეთის დამშევა“, კრების დადგინებამდის იყო აწყობილი სტამბაში.

რედ.

---

# ახალი ამბავი

—

*** ჩვენ მივიღეთ დასაბეჭდად შემდეგი წერილი. პოეტის ნ. ბარათაშვილის დანი კნ. ბარბარე მელიტონის ასული ვეზირიშვილისა, სოფიო მელიტონის ასული სუმბათაშვილისა და ნინა მელიტონის ასული ბარათაშვილისა და ნათესავნი მისნი პოდპოლკოვნიკი თ. გიორგი ილიას ძე ჯამბაკურ-ორბელიანი და თ. ნიკოლოოზ რევაზის ძე ერისთავი დიდს მადლობას უძღვნიან ყველა დაწესებულებას, საზოგადოებას, მათ წარმომადგენელთ და იმათაც, ვინც პატივი სცა პოეტის ხსენებას გვირგვინის გამოგზავნით, ან პირადად დასწრებით პოეტის ნეშტის დასაფლავების დროს.

*** გუშინ, 29 აპრილს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა კრებაზე დაიწყეს ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზე კენჭის ყრა. დაიდგეს ყუთი დირექტორობისა: თ. გ. ი. თარხნიშვილმა, თ. ნ. ვ. ორბელიანმა და თ. ი. გ. მაჩაბელმა. ამოუვიდათ: თ. გ. ი. თარხნიშვილს 392 თეთრი და 419 შავი, თ. ნ. ვ. ორბელიანს—158 თეთრი და 653 შავი და თ. ი. მაჩაბელს 449 თეთრი და 362 შავი. ამ სახით ხმის უმეტესობით დირექტორად არჩეულ იქმნა თ. ი. გ. მაჩაბელი.

*** 28 აპრილს იყო განგრძობა თავად-აზნაურთა სასკოლო საზოგადოების წევრთა კრებისა. უყარეს კენჭი სასკოლო კომიტეტის მოხსენებას, რომელიც დღევანდელს ჩვენს ნომერშია დაბეჭდილი, და იმ აზრს, რომ კომისია იქმნას არჩეული, რომელმაც შეიმუშავოს, როგორც ის, რა გვარად უფრო სამჯობინარო მოეწყოს დღევანდელი სათავად-აზნაურო სკოლაო, ისე ის, თუ რა გვარის მოწყობილობისა იყოს დასაარსებლად გახზრახული სამეურნეო სკოლა.

სასკოლო კომიტეტს აზრს, რომ დარჩეს შეუცვლელად დღევანდელი სკოლა და დაარსდეს ახლად სამეურნეო სკოლაო, ამოუვიდა სულ 111 კენჭი, ხოლო მეორე აზრს—კომისიის დაარსებისას—114. ამ სახით, უარყოფილ იქმნა 3 ხმის უმეტესობით აზრი სასკოლო კომიტეტის მოხსენებისა.

ბოლოს კრებამ დაასახელა ისინი, ვინც უნდა მიემატნონ სარევიზიო კომისიას, რათა მან ზემოხსენებულის კომისიის მოვალეობა შეასრულოს და თვისი დასაბუთებული, გამორკვეული და გამოძიებული აზრი მოახსენოს შემდეგს მორიგს კრებას. სათავად-აზნაურო სკოლის სარევიზიო კომისიაში არიან არჩეულნი: ნ. ი. ნიკოლაძე, ი. ს. გოგებაშვილი, თ. ნ. კ. ორბელიანი, თ. მიხ. ა. გრუზინსკი და თ. დ. ა. გურამიშვილი.

ამავე კომისიის მისამატებლად დასახელებულ იქმნენ: დ. ი. მუსხელიშვილი, ფრ. ყაზბეგი, თ. ივ. ზ. ანდრონიკაშვილი, ი. ი. წინამძღვრიშვილი, ალ. ბ. ჰეჰინაძე, პ. ი. ყიფიანი, ბ-ნი ისარლოვი, თ. ერ. ნაკაშიძე და ბ-ნი ვ. რცხილაძე.

კრებამ ისურვა, რომ ყველა ამათ კენჭი ჩამოეტაროთ, მაგრამ, რადგან გვიან იყო, არჩევანი მათი გადაიდო დღეს საღამოსათვის.

*** დღეს უკანასკნელი ვადაა ხმოსანთა კანდიდატების სიების შესატანად. შუადღის შემდეგ 3 საათამდე კიდევ მიიღებენ სიებს, მერე-კი ალარავის ექნება უფლება სიის წარდგენისა. 1 მაისს, 10 საათზედ დილით, გაჰხსნიან დაკეტილ ყუთს, რომელშიაც აგდებდნენ სიებს. ქალაქის მოურავმა წერილით მიიწვია შვიდი ხმოსანი და სთხოვა დაესწარით ყუთის გახსნას და საზოგადო სია გამგეობასთან ერთად შევადგინოთო. მიწვეულ არიან შემდეგნი ხმოსანნი: მ. ი. თამამშოვი, ნ. დ. ზუბალოვი, ვ. ა. სარაჯიშვილი, ვ. ა. ბოლგარსკი, პ. ა. გლავაცკი, პ. ს. ვასილიევი და ა. გ. პაშკევიჩი.

*** ტფილისის პირველ გიმნაზიაში მისაღები ეგზამენები დანიშნულია 28 და 29 მაისსა და 1 ივნისს. ვაკანსიები არის მხოლოდ 1 მოსამზადებელსა და 1 კლასში.

*** ოთხშაბათს, 28 აპრილს ქალაქის გამგეობის ბუჰგალტერიამ უკვე დაამთავრა ანგარიში ქალაქ ტფილისის შემოსავალ - გასავალისა 1892 წლისა. სულ შემოსავალი ყოფილა 787,159 მან. 29 კაპ. გასავალი-კი 880,909 მან. 54 კაპ.

*** ტფილისის გამგეობას მიჰმართეს მეფურნეებმა და სთხოვეს პურის ნიხრს მოუმატეთო, მაგრამ გამგეობამ ეს თხოვნა არ შეიწყნარა.

*** სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების წევრთ არასხანიანმა და ვართანიანცმა მიჰმართეს საზოგადოების საბჭოს და სთხოვეს, საგანგებო კრება მოიწვიეთ, რათა მან გადასწყვიტოს, როგორ დავეხმაროთ ამიერ კავკასიის იმ გაჭირვებულ მცხოვრებთ, რომელნიც შარშანდელ მოუსავლობის გამო დაზარალდნენო.

*** ჩვენ მივიღეთ ქ-ნ ეკატერინე რევაზის ასულის გაბაშვილის მიერ ქალებ შორის შეგროვილი 11 მან. 20 კაპ. სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ. ამ ფულისა იყო 23 მან. სულ შესდგა 34 მ. 20 კ.

*** ჩვენ მოგვივიდა მეორე პატარა წიგნი „გვირგვინი“-სა, დაბეჭდილი მღვ. ვ. კარბელაშვილის მიერ. ეს წიგნი მეორე თავს შეიცავს და იმ გვარისავე შინაარსისაა, როგორც პირველი, ესე იგი ამაშიაც მოთხრობილია სხვა-და-სხვა ამბავი და გარემოება ზნეობისა და საქრისტიანო ეტიკის ხასიათისა. წიგნში 134 გვერდია და ჰღირს სამი შაური.

*** სოფ. ბარეთი (გორის მაზრა): წითელა და ყივანახველა ისე ძრიელ მოედო აქაურობას, რომ ორის თვის განმავლობაში ორმოცზე მეტი ბავშვი იმსხვერპლა. ორი კაცი ხორველის ნაირ ავადმყოფობით გარდაიცვალა; ერთს მარტო პირღებინება და სიცხე ჰქონდა, მეორეს-კი პირსღებინება, ფაღარათობა და დიდი სიცხე; კარგი იქნებოდა ექიმებს შეემოწმებინათ, რა ავადმყოფობაა.

ექვსი წელიწადი იქნება, რაც სასოფლო პურის მაღაზია დაარსდა ჩვენში; ამ ხნის განმავლობაში წრევანდლის მეტად მაღაზიის პური არ გაყიდულა; პური და ქერი 1600 მ. გაიყიდა. ეს ფული მამასახლისმა და მაღაზიის მოთავემ ამ თთვის 12 გორის ხაზინაში ჩააბარეს შესანახად.

*** ს. ნორიო (ტფილისის მაზრა): კვირას, 25 აპრილს, ჩვეულებრივ გაიმართა აქ წიგნების კითხვა ხალხში. მღვდელმა ანდიაშვილმა წაუკითხა ცხოვრება წმ. მთავარ-მოწამის გიორგისა „მწყემსიდგან“. მასწავლებელმა გიორგი ფარადაშვილმა კითხვის დაწყებამდე ხალხს მიმართა შემდეგის სიტყვებით: „დღეს ჩვენი ქართველობა, ჩვენს მახლობელ დედა ქალაქში ღირსი გახდება რომ მოიდრიკოს მუხლი და თაყვანი სცეს უძვირფასეს ნეშტს დაუვიწყარ მგოსან ნიკოლოზ ბარათაშვილისას, რომელსაც ამ დილით მოასვენებენ განჯიდგან და მიაბარებენ მიწას დიდუბის სასაფლაოზედ, ისევ ჩვენ ქვეყანაში, ისევ ჩვენ მიწა-წყალში. რამდენად სასიქადულო და სასიხარულოა ეს ამბავი მთლად ქართველობისათვის, იმდენადვე ჩვენთვისაც. მოდით ჩვენც თაყვანი ვსცეთ მის უძვირფასეს ნეშტს მით, რომ ყოველმა თქვენგანმა დაკაცი და გამოიხატოს თავის გონებაში მისი სურათი და ხასიათები.“ შემდეგ ამისა მასწავლებელმა წარმოსთქვა სიტყვა და ცხადად დაუხატა ხალხს განსვენებულის პოეტის ცხოვრება. წაუკითხა აგრედვე მისი ლექსები: „მერანი“ და „ბედი ქართლისა“, შესაფერის განმარტებით. ხალხი ძალიან ბლომად დაესწრო და დიდი მადლობელიც დარჩა. ბოლოს ხალხმა სთქვა: სამწუხაროა, რომ მაგისთანა განძი დაუკარგავს ჩვენს ქვეყანასაო!“

*** იქიდგანვე: ჩვენში მეხი ჩამოვარდა 23 აპრილს, დაეცა გლეხის გიორგი დელბაშიშვილის სადალაქოს და ნახევარ კედელი თავის ერთის ფანჯრით დააქცია. შიგ ამ დროს არავინ ყოფილა, რადგან ღამე იყო.

*** ტიტულიარნი სოვეტნიკის შვილი, 15 წლისა, ტიხონ მოისეევი ორს აპრილს წავიდა სახლიდგან და დღემდე არ დაბრუნდა და პატრონებს ვერ უპოვიათ. ტფილისის პოლიცმეისტერს გუშინ უბრძანებია ბოქაულებისთვის დაკარგული ყმაწვილი მოძებნეთო.

*** გუშინ წინ 10 პოლიციის ნაწილის ბოქაულმა ნაცვალაშვილმა შეიპყრო ჯიბგირი პავლე სალამბეგოვი, რომელმაც 25 აპრილს დიდუბეში ამოაცალა ჯიბიდგან ლ. ა. მაღალაშვილს საათი, რომლის მეწვაზედაც ეკიდა ოქროს ბეჭედი და ბ-ნ თულაშვილსაც ოქროს საათი. სალამბეგოვი გაგზავნეს საპატიმროში, გზაში სალამბეგოვი პოლიციელს შეხვეწია, ნება მომეცი, აქ მაყაშვილის სარდაფში ჩავიდე და ფული

გამოვართვაო. სალამბეგოვი ჩავიდა სარდაფში და მეორე კარებიდგან გაიქცა. პოლიცია დაეძებს.

*** 28 აპრილს ტფილისის რკინის გზის ვაგზალზე სამჭედლოში გამყრელიძემ ჩაქუჩით თავი გაუტეხა პავლე კუბრიკოვს. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს და დამნაშავე შეიპყრეს.

---

## მოხსენება სათავად-აზნაურო სკოლის გამგე კომიტეტისა იმ საგანზედ, თუ რა იქმნა გამორკვეული მცოდნე პირთა კრებებზედ სკოლის მომავალის შესახებ.

სათავად-აზნაურო სკოლის დაარსებიდანვე ბევრჯელ ყოფილა ლაპარაკი იმაზედ, თუ რამდენად საჭიროა, რამდენად ჩვენი ცხოვრების გარემოება მოითხოვს, რომ დაფუძნებულ იქმნას ქართველთათვის სამეურნეო სასწავლებელი. ამ ხუთის წლის წინად, როდესაც ისევ პატივცემული კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი თავმჯდომარედ ბრძანდებოდა, გამგე კომიტეტი შეუდგა ამ საგნის გამორკვევას და მიანდო თვის წევრთა წერილობით წარმოედგინათ თავიანთი მოსაზრებანი მომავალ სამეურნეო სასწავლებლის შესახებ. ორი პროექტი სამეურნეო სასწავლებლისა იყო წარმოდგენილი და ეს ორი პროექტი გამგე კომიტეტმა განიხილა თანადასწრებით მეურნეობის მცოდნე პირთა. საგანი გასინჯული იქმნა ყოველივეს მხრით და თავის გარდაწყვეტილება გამგე კომიტეტმა მოახსენა საზოგადო კრებას 1888 წლის ანგარიშში. ამ გარდაწყვეტი-[illegible] იმ სათავად-აზნაურო სკოლას, რომელიც ამ ჟამად გვაქვსო, რადგანაც კარგად მოწყობილი საშუალო სამეურნეო სასწავლებელი დიდს ხარჯს მოინდომებსო. სამის წლის შემდეგ 1891 წელს საზოგადო კრებაზედ, როდესაც გამგე კომიტეტისაგან წარმოდგენილ სმეტაზედ იყო ბაასი, კრების ერთმა წევრთაგანმა, თ. ა. ზ. ჩოლაყაშვილმა წარმოსთქვა აზრი, რომ გამგე კომიტეტს მოეწვია მცოდნე პირნი და მათთან ერთად გაესინჯათ, თუ რომელი სასწავლებელი და რა ხასიათის განათლება უფრო საჭიროა ჩვენთვის. ეს აზრი მიიღო კრებამ და დაავალა გამგე კომიტეტს მოეყვანა აღსრულებაში მოხსენებული აზრი. ესევე დაავალა კომიტეტს 1892 წლის საზოგადო კრებამაც. ამ წელიწადს შეუდგა გამგე კომიტეტი საზოგადო კრების დადგენილების აღსრულებას. მან წინადვე დაისახა ის საგნები, რომლებიც კრებას უნდა განეხილა და შეადგინა სია იმ პირთა, რომელთა მოწვევა საჭიროდ სცნა თავის მხრით. გამგე კომიტეტის წევრთა და მოწვეულ პირთა კრება მოხდა სამჯერ (იანვარში და მარტის 14 და 18) და ამ კრებაზედ განხილულ იქმნენ შემდეგი საგნები:

1) როგორც ვიცით, ტფილისის გუბერნიაში 900,000-დინ მცხოვრებელია; ამათში 500,000-დინ ქართველობა ითვლება. თუმცა ამ რიცხვის მიხედვით სახელმწიფო სასწავლებლებში ქართველი მოსწავლენი უფრო ბევრნი უნდა იყვნენ, მინამ სხვა ტომების მოსწავლენი, მაგრამ ნამდვილად-კი ქართველობა ცოტაა და სხვა ხალხოსნობის მოსწავლენი-კი ბევრნი არიან. მაშასადამე, რა არის მიზეზი ქართველთა მოსწავლეთა მცირე პროცენტისა სახელმწიფო სასწავლებლებში?

2) რამდენად საჭიროა, რომ თავად-აზნაურობამ იქონიოს თავისი საკუთარი სასწავლებელი.

3) თუ საჭიროა, რომ თავად-აზნაურობას ჰქონდეს თავისი სასწავლებელი, მაშ რომელ ტიპის სასწავლებელი უფრო შეეფერება ჩვენ ცხოვრებას და საჭიროებას.

4) რამდენად საჭიროა, რომ თავად-აზნაურთა სკოლას მინიჭებული ჰქონდეს სახელმწიფო სასწავლებლების უფლებანი.

5) თუ მიღებული იქმნება, რომ თავად-აზნაურობამ იქონიოს თავისი საკუთარი სასწავლებელი, ამ შემთხვევაში რამდენ კლასიანი და რა პროგრამის სივრცით უნდა იყოს ეს სასწავლებელი.

6) ცხადია, რომ სასწავლებელი არ უნდა იყოს დამოკიდებული შემთხვევითს შემოსავალზედ, რომ მის ასაღორძინებლად და წარმატებაში წასაყვანად საჭიროა შეუწყვეტილი წყარო—სამუდამო ფონდი. რა გზით შეიძლება გამოვძებნოთ ჩვენის სკოლისათვის ეს შეუწყვეტელი წყარო—სამუდამო ფონდი?

ამ საყურადღებო საგნებმა დიდი ბაასი გამოიწვია მცოდნე პირთა კრებებზედ. იმის შესახებ, თუ რა მიზეზია, რომ რიცხვი ქართველთა მოსწავლეთა მცირეა სახელმწიფო სასწავლებლებში სხვა ტომების მოსწავლეთა შედარებით, გამოირკვა შემდეგი:

ქართველები უფრო სოფლად ცხოვრობენ და ამისათვის მოკლებულნი იმ სამოსწავლო სახსრებს, რომლებსაც იპყრობს ქალაქი. სოფლად არ არის მოსამზადებელი სასწავლებლები, არ მოიპოვებიან იქ არავითარნი მასწავლებელნი. ამას გარდა სოფლის თვით ცხოვრება ხელს არ უწყობს ბავშვის ჭკუა-გონების გახსნას. ბავშვი სოფლად ჯან-მრთელობს, მაგრამ გონებით-კი ვერ იხსნება ისე, როგორც ქალაქში, ცხოვრების სხვა-და-სხვა გარემოების გამო. სოფლად მცხოვრებელი მებატონე იძულებულია თავისი ყმაწვილები ამზადებინოს ქალაქში სახელმწიფო სასწავლებლებში მისაცემად. მაგრამ ბევრი მოიპოვება ჩვენში, რომ იკისროს ის ხარჯი, რა ხარჯსაც თხოულობს ბავშვების მომზადება და შენახვა ქალაქში? ქალაქის მცხოვრები, თუ სამოც თუმნამდინ მაინც აქვს შემოსავალი წელიწადში, ყოველთვის მოახერხებს თავისი შვილები სასწავლებელში გამოზარდოს. მაგრამ რასაც ადვილად ახერხებს ქალაქის მცხოვრები, იმას ვერ ახერხებს და ვერც მოახერხებს სოფლად მცხოვრებელი. ამან რომ ორი ან ერთი შვილი მოამზადებინოს ქალაქში სახელმწიფო სასწავლებელში მისაცემად, წმინდა შემოსავალი უნდა ჰქონდეს არა ნაკლებ ასის თუმნისა. განა ბევრნი არიან მებატონენი, რომ ას თუმნამდინ წმინდა შემოსავალი ჰქონდეთ? ჩვენ-და სამწუხაროდ, ძრიელ ცოტანი არიან. აი თავი დი თავი მიზეზი იმ სამწუხარო მოვლენისა, რომ ქართველთა მოსწავლეთა რიცხვი მცირეა სახელმწიფო სასწავლებლებში. ეს ქართველი ყმაწვილებიც, რომელნიც სახელმწიფო სასწავლებლებში სწავლობენ, უფრო ქალაქში მცხოვრებლების შვილები არიან. იმათაც, რომელნიც სოფლებიდან არიან, ძრიელ უჭირდებათ კურსის გათავება და მათი რიცხვი უფროს კლასებში თვალშესამჩნევად კლებულობს. რასაკვირველია, ეს მოვლენა იმისთვის-კი არ ხდება, რომ ესენი ვისმეზედ ნაკლებად იყვნენ ნიჭიერნი, სრულიადაც არა; ეს იმისთვის ხდება, რომ სოფლიდან ჩამოყვანილ ყმაწვილების მომეტებულს ნაწილს არავინა ჰყავთ მზრუნველად ქალაქში: იმათ თავის დროზედ არავინ არ ეხმარება, თავის დროზედ მათთვის სასწავლო ნივთებს არავინ ყიდულობს, არცარავინ ზრუნავს რეპეტიტორი უშოვნოს, თუ საჭიროება მოითხოვს. ერთის სიტყვით, მათი მდგომარეობა სახელმწიფო სასწავლებლებში ხშირად უნუგეშოა. ცხადია, რომ სოფლად მცხოვრებელ თავად-აზნაურთათვის საჭიროა საზოგადობრივი დახმარება; მხოლოდ საზოგადოების დახმარებით შესაძლებელია გამოზარდონ თავიანთი შვილები ისე, როგორც მოითხოვს ჩვენი აწინდელი მდგომარეობა. საზოგადოების დაუხმარებლად მომატებული ნაწილი თავად-აზნაურთა შვილებისა დარჩება უსწავლელად. ქართველთა საზოგადოებისაგან დახმარება იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ვიქონიოთ ჩვენი საკუთარი სასწავლებელი, დამკვიდრებული ჩვენ ბუნებაზედ და ჩვენის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. მართალია, საზოგადოების ხარჯით შესაძლო იყო სოფლიდამ ჩამოყვანილი ბავშვები მიგვეცა გიმნაზიების მოსამზადებელ კლასებში, მაგრამ, სამწუხაროდ, შესასვლელად ამ მოსამზადებელ კლასებშიაც [illegible] უნდა იყვეს— რუსული ლაპარაკი, წერა და კითხვა უნდა იცოდეს. ამას გარდა, როგორც მოსამზადებელი კლასები, ისევე შემდეგი კლასები ისეა მოწყობილი, რომ ხელს უწყობს რუსულის ენის მცოდნეს და აბრკოლებს სწავლაში ბავშვს, თუ რუსული ენა არ იცის. ერთის სიტყვის, ეს კლასები მოწყობილია რუსულის ენის მცოდნე ყმაწვილებისთვის. ყველა ამ აზრების მიხედვით, თუ გვსურს, რომ საზოგადოების დახმარებით ქართველებს გაეხსნათ სწავლის გზა, უნდა, ვიმეორებთ, ვიქონიოთ საკუთარი სასწავლებელი. ეს აზრი ყველასაგან იყო აღვიარებული კრებებზედ. მაგრამ საგანმა—თუ რა ტიპის სასწავლებელი უფრო საჭიროა ჩვენთვის და რამდენ კლასიანი უნდა იყოს ეს სასწავლებელი, გამოიწვია სხვა-და-სხვა მოსაზრებანი. ყველა ეს მოსაზრებანი შეიძლება ხუთად გაიყოს.

პირველი მოსაზრება. კლასიკურს გიმნაზიებს უპირატესობა აქვს მინიჭებული მთავრობისაგან. აქ კურს შესრულებულ უფრო ფართო გზა აქვთ დათმობილი. იმათ შეუძლიანთ შევიდნენ ყოველსავე მაღალ სასწავლებელში და ესევე არ შეიძლება ითქვას რეალურ სასწავლებელში კურს შესრულებულებზედ. ეს დიდი გარემოებაა. რამდენათაც სწავლის უფრო ფართო გზა ექმნება ჩვენ მოსწავლე ყმაწვილებს, იმდენი კარგია, რადგანაც ჩვენი სამშობლო საჭიროებს მოქმედ პირთა არა მარტო ერთ ასპარეზზე, არამედ ცხოვრების ყოველ ასპარეზზედ; რამდენად საჭიროა აგრონომიის და ექიმობის მცოდნე კაცი, იმოდენად საჭიროა კარგი და განვითარებული მოხელე. ყველა ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ტფილისში სამი კლასიკური გიმნაზიაა და მინამ ჩვენ სასწავლებელს ექმნება მოსამზადებელი ხასიათი, პრაქტიკული მოსაზრება მოითხოვს, რომ კლასიკურს ნიადაგზედ იდვეს იგი, რადგანაც ამ შემთხვევაში უფრო ბევრის ყმაწვილების მიცემა შეიძლება სახელმწიფო სასწავლებლებში, რომლებითაც უთუოდ უნდა ვსარგებლობდეთ. ყველა ამის მიხედვით უნდა შევინახოთ ჯერაობით ის სასწავლებელი, რომელიც ეხლა გვაქვს, და, თუ შეძლება გვექმნება, ამ სასწავლებელთან გავხსნათ რეალური კლასებიც.

მეორე მოსაზრება. ჩვენის ქვეყნის სიმდიდრე, ჩვენი, დედამიწის ნოყიერება, აგრეთვე ჩვენი ცხოვრების გარემოება,—ყველა ეს მოწმობს, რომ ჩვენთვის უფრო შესაფერია სამეურნეო სასწავლებელი. ჩვენის მიწა-წყალისთვის დაღვარეს სისხლი ჩვენთა წინაპართა; ამ მიწა-წყალმა შეგვინახა ჩვენ აქამომდენ და ამან უნდა დაგვიფაროს მომავალშიაც. მხოლოდ ამ ჟამად მიწა-წყალს სხვა ნაირი მოვლა უნდა, სხვა ნაირი შემუშავება.

ძველი ხვნა და თესვა, ქველებურად ღვინის დაყენება, ერთის სიტყვით, მამა-პაპურად მიწის შემუშავება წინ ვერ წაგვწევს. ეხლა სხვა დროა, სხვას მოითხოვს ჩვენი აწინდელი ცხოვრება. თუ ეხლავე არ შევუდგებით ხალხში გონივრულ მეურნეობის გავრცელებას, ჩვენი ხალხი, გლეხი თუ თავადი, კეთილდღეობის სფეროში ფეხს ვერ მოიკიდებს, უფრო და უფრო ჩავარდება სიღარიბეში და ეს დაბოლოვდება იმით, რომ ჩვენ მამა-პაპათა ნაანდერძი მიწა-წყალი ხელიდგან გამოგვეცლება. ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენს საკუთარს სასწავლებელს ჰქონდეს სამეურნეო ხასიათი და ამ ღონისძიებით შეიძლება მოვფინოთ ხალხში ჭეშმარიტნი ცოდნანი შესახებ მეურნეობისა.

მესამე მოსაზრება. აწინდელი სათავად-აზნაურო სკოლის ნაკლულევანება იმაში მდგომარეობს, რომ არ არის დამთავრებული, და ამისათვის სხვის ხელში შემაცქერალია. რომ სასწავლებელი რიგიანად წავიდეს, რომ სასწავლებელს ბევრი შეგირდები ჰყავდეს, საკმაო არ არის კიდევ, რომ ბავშვებს კარგად ასწავლიდნენ. კარგის სწავლის გარდა სასწავლებელი უნდა აძლევდეს თავის მოწაფეებს დამთავრებულს სწავლას ანუ კლასიკურს, ანუ რეალურს, ანუ სამეურნეოს. ამისათვის აწინდელი სათავად-აზნაურო სკოლა უნდა გადაკეთდეს რვა კლასიან სასწავლებლად და მიეცეს სრულიად არავისზედ დამოკიდებული ხასიათი.

მეოთხე მოსაზრება. სახლის ბურჯი არის ქალი, ამაზეა დამოკიდებული სახლის წესი და ავკარგიანობა. თუ ქალი განათლებულია, მომზადებულია ცხოვრებასთან საბრძოლველად, მაშინ იგი შვილებსაც კარგს გზაზედ აყენებს და უნერგავს მათ გულში სწავლის სიყვარულს. მოზარდ ყმაწვილების ბედი ქალზეა დამოკიდებული. ამბობენ, რომ სახელმწიფო სასწავლებლებში ქართველები ცოტანი არიანო. ეს სრულიად მართალია და მართალია იმისათვის, რომ ქართველთა დედათა შორის ძლიერ ცოტა პირთ შეუძლიანთ მოამზადონ თავიანთი შვილები, ისე რომ მათ შეეძლოთ სახელმწიფო სასწავლებელში შესვლა დარიგიანად იქსწავლა. აი ამის მიხედვით, უმჯობესი იქმნება იმ ფულით, რა ფულსაც ეხლა ვხარჯამთ სათავად-აზნაურო სკოლაზედ, დავაფუძნოთ დედათა სასწავლებელი, რომლის შემწეობითაც შეგვეძლება ვიყოლიოთ მომავალში მრავალი გონიერი და განათლებული დედა.

მეხუთე მოსაზრება. გარემოებანი და საჭიროებანი ჩვენის საზოგადოებისანი ცხადად გვიჩვენებენ, რომ უნდა ვიქონიოთ კლასიკური პროგიმნაზია. ამ გვარს სასწავლებელს სხვა ტიპის სასწავლებლის წინაშე დიდი უპირატესობა აქვს: 1) ამის შუამავლობით ყმაწვილების უფრო მომატებულს ნაწილს ეძლევა გზა სახელმწიფო სასწავლებლებში შესასვლელად, მინამ სხვა ტიპის სასწავლებლის შუამავლობით. 2) თუ სახელმწიფო კლასიკურ გიმნაზიებში ჩვენ სკოლიდამ გადასულმა ყმაწვილებმა კურსი გაათავეს, იმათ ადვილად შეუძლიანთ შევიდნენ ყოველ გვარ მაღალ სასწავლებელში; ესევე, რასაკვირველია, არ ითქმის რეალურს სასწავლებელში კურს შესრულებულზედ. 3) ყველა ამას გარდა ოთხკლასიანი პროგიმნაზია შეიძლება ადვილად შეიქმნეს სათაურად რომელიმე სპეციალურის სკოლისა. თუმცა ეს ასეა, მაგრამ წინადვე უნდა ვიცოდეთ, რომ, რაც უნდა ბევრი ვეცადოთ, რაც უნდა კარგი პირობები შემოვარტყათ გარშემო ჩვენს სასწავლებელს, მაინც ძნელი მოსახერხებელია, ძნელი მოსალოდნელია, რომ ყველა ჩვენს პროგიმნაზიაში კურს გათავებული შევიდეს სახელმწიფო სასწავლებელში. ყოველთვინ რამდენიმე ყმაწვილი დარჩება სასწავლებელს გარეშე. ამათი რიცხვი ხშირად მეტი იქმნება, მინამ იმ ყმაწვილების რიცხვი, რომელნიც მოახერხებენ სახელმწიფო სასწავლებელში შესვლას. ამის მოწამეა ჩვენის სკოლის ისტორია. მომეტებული ნაწილი ჩვენს სკოლაში კურს შესრულებულებისა ცამეტის წლის განმავლობაში რჩებოდნენ სახელმწიფო სასწავლებელს გარეშე სხვა-და-სხვა სკოლაზედ დამოუკიდებელ მიზეზისა გამო. პრაქტიკული გონივრობა მოითხოვს, რომ ვიფიქროთ რამ ეხლა მაინც ჩვენის სკოლის იმ მოსწავლეებზედ, რომელნიც, სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, ვერ შედიან სახელმწიფო სასწავლებლებში. საქმის დატოვება ისე, როგორც აქამდინ იყო, დიდი შეცდომა იქმნება ჩვენის მხრით.

აი ამ სახით ხუთი სხვა-და-სხვა სხვა აზრი გამოითქვა იმის შესახებ, თუ რა ტიპის და რამდენ კლასიანი სასწავლებელი უნდა ვიქონიოთ. პირველ აზრით უნდა დარჩეს ის სასწავლებელი, რომელიც ამ ჟამად აქვს თავად-აზნაურობას, მხოლოდ, თუ შეძლება ექმნება საზოგადოებას, ამ სკოლასთან პარალელ კლასებად უნდა გაიხსნას რეალური კლასებიც. მეორე აზრით, უნდა გადაკეთდეს აწინდელი სასწავლებელი სამეურნეო სასწავლებლად, მესამე აზრით უნდა დაარსდეს სრული რომელიმე საშუალო სასწავლებელი—ანუ გიმნაზია, ანუ რეალური სასწავლებელი, ანუ კიდევ საშუალო სამეურნეო სასწავლებელი, მეოთხე აზრით, სათავად-აზნაურო სკოლის ბადლად უნდა

დაარსდეს დედათა სასწავლებელი თავად-აზნაურთა ქალებისათვის—და მეხუთე აზრით, უნდა დაცულ იქმნას აწინდელი თავად-აზნაურთა სკოლა—ოთხი მოსამზადებელი და ოთხიც კიდევ პროგიმნაზიული კლასი; მხოლოდ უთუოდ უნდა ვიზრუნოთ იმ ჩვენ სკოლაში კურს შესრულებულებზედ, რომელნიც სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო ვერ ახერხებენ სახელმწიფო სასწავლებლებში შესვლას. მათთვის უნდა დაფუძნდეს სამეურნეო კალესები სამის წლის კურსით, სრულიად ცალკე. მომეტებული ნაწილი დამსწრეთა პირთა კრებაზედ პირველის აზრისა იყო.—რაც შეეხება იმ საგანს, თუ რამდენად საჭიროა, რომ სათავად-აზნაურო სკოლისათვის ვიშუამავლოთ უფლებანი სახელმწიფო სასწავლებლისა,—ამ საგნის გადაწყვეტა კრებაზედ დამსწრე პირთა სცნეს უდროვოდ და დასტოვეს იმ მდგომარეობაში, რომელ მდგომარეობაშიაც აქამდის იყო.

იმ საგნის გამო კიდევ, რომ სკოლის წარმატებისათვის საჭიროა გაუჩინოთ სკოლას შეუწყვეტელი წყარო—სამუდამო ფონდი, გადაწყვეტილ იქმნა, ერთხმად, შემდეგი: ა) ეთხოვოს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს მისცეს მსვლელობა თავად-აზნაურთა გარდაწყვეტილებას ფულის მოგროვების შესახებს ერთმანეთში თავიანთ შვილების აღზრდისათვის; ბ) იქმნეს ღონისძიება მიღებული, რომ ბანკის წლიურის საზოგადო საჭიროებისთვის დანიშნულ ფულიდამ სკოლის სასარგებლოდ გადიდოს ხოლმე არა ნაკლებ 80 პროცენტისა და გ) ყიდვით მოპოვებულ იქმნას არწრუნისეული ქარვასლა, რომელიც დარჩა ბანკს, იმ პირობით, რა პირობებსაც გამოიკვლევს გამგე კომიტეტი და ბანკის მმართველობა.

გამგე კომიტეტმა ყველა ეს მოსაზრებანი და გადაწვეტილებანი განიხილა დაწვრილებით და თავის მხრით დაადგინა შემდეგი:

1, აწინდელი სათავად-აზნაურო სკოლა—ოთხი მოსამზადებელი კლასი და ოთხი პროგიმნაზიული—ჯერაობით უნდა დარჩეს ისე, როგორც ეხლა არის. მომავალში, თუ თავად-აზნაურობას ღონის-ძიება ექმნება, მას უნდა მოემატოს შემდეგი გიმნაზიური კლასები და გადაკეთდეს სრულ საშუალო სასწავლებლად.

2) მინამ სათავად-აზნაურო სკოლა წარმოადგენს პროგიმნაზიას, მას უნდა ჰქონდეს მოსამზადებელი ხასიათი და იგი უნდა იყვეს აუზი—სათაური, საიდგანაც ჩვენის ცხოვრების შესაფერად აღზრდილს ყმაწვილებს შეეძლოთ გადასვლა სახელმწიფო სასწავლებლებში.

3) დიდი მნიშვნელობა აქვს სათავად-აზნაურო სკოლისათვის პანსიონს; ამისათვის მომავალში, როდესაც სკოლა იქმნება გადატანილი სხვა სადგომში, პანსიონერების რიცხვს ერთი-ორად უნდა მოემატოს.

4) სასურველია, რომ იმ ყმაწვილებს, რომლებიც სათავად-აზნაურო სკოლიდამ გადადიან სახელმწიფო სასწავლებლებში და ქალაქში პატრონი არავინა ჰყავთ, ბინა ჰქონდეთ ხოლმე ისევ ჩვენს სკოლის პანსიონში, ანუ კიდევ სხვაფრივი მზრუნველობა უნდა ჰქონდეს ხოლმე მათზე გამგე კომიტეტს.

5) ცხადია, რომ სათავად-აზნაურო სკოლაში კურს შეუსრულებულები ყველა ვერ შევა სახელმწიფო სასწავლებელში; ბევრი მათგანი დარჩება სასწავლებლებს გარეშე სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო; აგრეთვე ყველამ ვიცით, რომ სახელმწიფო სასწავლებლებიდგანაც ბევრი ქართველი გამოდის სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო და სწავლას თავს ანებებს. ყველა ესინი იძულებულნი ხდებიან დაბრუნდნენ სოფლად და, რადგანაც სოფლურ ცხოვრებისა არაფრისაგან არაფერი არ იციან, ამისათვის მეტ ტვირთს ადგენენ ყველასათვის. ამ გარემოების მიხედვით უნდა დაარსებულ იქმნას ქალაქის გარეშე სამეურნეო სასწავლებელი სამის წლის კურსით, სადაც შეეძლოთ შესვლა ყველა იმ მოსწავლე ყმაწვილებს, რომელნიც ათავებენ კურსს სათავად-აზნაურო პროგიმნაზიაში და სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ვერ ახერხებენ სახელმწიფო სასწავლებელში შესვლას.

თავმჯდომარე მაღალაშვილი

წევრნი: დ. ფავლენიშვილი, ელ. ვაჩნაძე, თ. მაჩაბელი, ნ. ცხვედაძე

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ახალციხე.** აქაური ამბები ის გახლავთ, რომ ახალციხის გარემო ქრისტიანთა სოფლები: წყალ-თბილა, ძღულა, აბათ-ხევი, წინუბანი, ნაოხრები, ვალე, ახალი, უდე, პამაჯები, სახვალისი, წყროთი და სხვანი ძრიელ წინ მიდიან; მრავალგან ბაღჩები გააშენეს, ხალ-ვაშლის საუკეთესო ნამყენობა გაამრავლეს, წვრიმალ ხილნარეულობის გარდა; უდისა და სხვილისის მეტი ბაღჩები წამლადაც არ მოიძეოდა სადმე 20—40 წლის წინად, ახლა-კი ზემოხსენებული სოფლები ტყეებრ სავსე არს ხილნარეულითა!

ბაღჩებთან ერთად გამრავლებულია ბოსტნები, საკარტოფილე-სათალგამოები; მწვანილეულ-მხალეულობა ხომ მრავალი მოჰყავთ. საკვირველად გამრჯე გლეხ-კაცობა არის აქეთ, მიჩვეულან მამა-პაპურს ალალ-მართალს შრომასა და ღმერთიც მის-დაგვარად აძლევს თავის უხვს მოწყალებასა: ჩვენს დღეში არ გაგვიგონია, ახალციხეში ისეთის შიმშილობის ჩამოვარდნა, რომ სხვა კუთხებისთვის მიემართოთ სარჩოს საშოვნელად, ამის მიზეზი ცხადია, პურ-ქერის მოსავალმან თუ იკლო, სიმინდი უხვად მოდის, ყველა თესლეულობა თუ დაიჩაგრა იელით, სეტყვით, წვიმიანობითა და მისთანა ციურის მოვლენით, ბოსტნეულობა და ხილეულობა ეფარება და ყველას მოთხოვნილებას უსრულებს, ერთი მხარე მეორე მხარეს ჰზრდის, მეორე—მესამეს.

ასეთი სიუხვე არის ჯერ ისევ ადამის დროინდელ უვლაგარჯ საგლეხო ხელ-საწყობების ხმარებით და სისხლ-ოფლ ნარევის შრომითა, ახლა ამას რომ მოეშველოს ევროპიულ მეურნეობის საფუძვლიანი სწავლა-დარიგება, მაშინ ხომ ზღვად გარდიქცევა ამ ღვთისგან კურთხეულ ქვეყნის ჰირნახულ-მოსავალი.

თუ მართლა წელს რკინის გზა ამოვიდა ოცხემდის, მეტად განითქმება აქაურობა არა მარტო ჰირნახულ მოსავლის სიუხვე-სიტკბოთი, არამედ მრავალის მადნეულობის წყალობითა. რა გინდათ, რომ აქაურ დედამიწაში არ იყოს: სპილენძი, ოქრო, მარმარილო, მარილი, მარგანეცი, ქვისნახშირი, კირი, წერნაქი, საუცხოვო ხე-ტყე, ნაირ-ნაირი 20-ამდე აბანოს წყლები და სხვანი!

ვინმე მესხი

---

**თელავი.** 24 და 25 აპრილს. დღეს, 24 აპრილს, საღამოს ექვს საათზედ, მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექზარხოსი ვლადიმირი მობრძანდა თელავს და პირდაპირ შეუხვია სობოროსაკენ, სადაც შეკრებილი იყო ადგილობრივი სამღვდელოება და აუარებელი ხალხი. ეტლში ექზარხოსთან ერთად იჯდა ალავერდის ეპისკოპოზი, ყოვლად სამღვდელო ბესარიონი, რომელიც მაზრის უფროსთან ერთად მიეგება მას თეთრ წყლებში და აქედგან გამოჰყვნენ შუა-მთის მონასტერში, სადაც დაისვენეს ერთი საათი და მისმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ მონასტერიც დაათვალიერა.

თელავის სობოროში შესვლის დროს ამავე ეკკლესიის მღვდელმა იოანე შიუკაშვილმა მოახსენა სიტყვა, მოკლედ შემდეგის შინაარსისა: მოწყალეო მღვდელ-მთავარო და მეუფეო! ამბავი თქვენს მობრძანებაზედ ელვის სისწრაფით გავრცელდა ჩვენში და მრავალი სასიამოვნო მოლოდინი დაგვიბადა. ახლა-კი ამბავი გარდაიქცა საქმედ: ჩვენ გხედავთ თვალით, მოგეგებებით კრძალვით და სავსენი სიხარულითა [illegible] დავიხსომებთ თქვენ მეუფების აქ მობრძანებასა. ამასთანვე ვეკითხებით ჩვენს თავს: რითი ვართ ღირსნი თქვენის ესეთის ყურადღებისა? ვიტყვით, რომ სამწყსო ქრისტესი, რომელსაც განიხილავთ თქვენ, დიდი ხანია, მოკლებულია მაცოცხლებელსა სხივებსა მღვდელ-მთავრისასა სიშორის გამო; ამიტომ, იქნება, თქვენმა გამოცდილმა, დამაკვირვებელმა თვალმა იპოვოს ჩვენში მომატებული ნაკლულევანება, ვიდრე ღირსება, იქნება აღნიშნოს სულიერი სიგლახაკე ჩვენი, ვიდრე სიმდიდრე კეთილთა საქმეთაგან გამოღებული. მღვდელ-მთავრულითა სახიერებითა შეგვიწყნარეთ, გვასწავეთ და შთაგვაგონეთ.

ეგრედ, მეუფეო, შემოვედ ეკკლესიასა ამას, ილოცე ღვთისადმი და გვაკურთხე ჩვენ, რათა მღვდელ-მთავრულითა ლოცვითა თქვენითა დაცულ იყოს ეკკლესია და ქალაქი ესე და კურთხევითა თქვენითა ვიყვნეთ ჩვენ ძღვანებულნი გზასა მას, რომელ სთნდა უფალსა. მოვედ, მოვედ, მეუფეო, სახელითა უფლისათა.

აქვე მოისმინა მისმა მეუფებამ საღამოს ლოცვა და ცისკარი. შემოეგ წაბრძანდა სასულიერო სასწავლებელში, სადაც მომზადებული იყო მის მეუფებისათვის სადგომი. 25-ს დილით სასწავლებლის ეკკლესიაში ინახულა მოსწავლენი და აქვე წარდგენილ იყვნენ მის ყოვლად უსამღვდელოებისადმი მასწავლებელნი. მოსწავლეთა და მასწავლებელთა კურთხევის შემდეგ წაბრძანდა თელავის ტაძარში, სადაც მთელი ქალაქი იყო თავ-მოყრილი. თანამწირველობდნენ ადგილობრივი სამღვდელოება და დეკანოზი კათედრალურ სობოროსი ელიევი, რომელიც თან მოჰყვა მათს მეუფებას. წირვის შემდეგ წარმოსთქვა მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ ისე გრძნობით სავსე სიტყვა, რომ მრავალთა მსმენელთა ცრემლი გამოიწვია; ბევრმა, ძალიან გულით იტირა. მე უძლური ვარ აღვადგინო მჭერმეტყველური მისი სიტყვა, მხოლოდ აღვნიშნავ შეძლების დაგვარ შინაარსსა: თქვენ ცნობის მოყვარეობას შეუყრიხართ აქა. გინდათ გაიგოთ: ვინა ვარ მე, რა ღირსება და ნაკლულევანება მაქვს. არ გავკიცხავ თქვენს ცნობის მოყვარეობას, ეგ ადამიანის ბუნებაშია, ხოლო მეც მომეცით ნება გავიგო თქვენი ვინაობა. არ გეგონოთ-კი, მე ვკითხულობდე ვინ თავადია თქვენში, ვინ გლეხი, ვინ უფროსია, ვინ მორჩილი მისი, ვინ მდიდარია—გლახა. არა, მე ამას არა ვკითხულობ და არც ჩემი საქმეა. ყველანი ერთნი ვართ ჩვენ წინაშე ზეციურისა მამისა. მე გკითხავთ: თქვენ ჭეშმარიტნი ქრისტიანენი ხართ? მეტყვით: ნათლის ღება მიგვიღია, ეკკლესიაში დავდივართ, პირ-ჯვარს ვისახავთ, ალსარებას ვამბობთ, ვეზიარებით და ყველა საჭირო საღმრთო მოქმედებას ვასრულებთ და მაშ ქრისტიანები არა ვართო. მაგრამ განა კმარა ყველა ეგე თქვენგან ჩამოთვლილი, რომ ადამიანი ჭეშმარიტი ქრისტიანე იყოს? არა კმარა და ეგ ნახევარსაც არ შეადგენს ქრისტეს მცნებათა მოთხოვნილებისას. ჭეშმარიტი ქრისტიანე იგია, ვისაც ყველა ამასთან აქვნან კეთილნი საქმენი. აბა მიეცით თქვენსავე სინიდისსა პასუხი: ჭეშმარიტნი ქრისტიანენი ხართ? (ამ კითხვას იმისთანა [illegible] რომ მსმენელის გულის სიღრმემდის სწვდებოდა). რა უსიამოვნო გრძნობას აღგვიძრავს კაცი, რომელიც ხელგამოშვერილს გაჭირვებულს ეუბნება, ღმერთი მოგცემსო. მეცნიერებამ მოგცათ თქვენ (აქ მოუბრუნდა სამღვდელოებას) დაუშრეტელი სულიერი სალაროს გასაღები; თქვენ წინდა-წინვე მომზადებულნი ხართ მიაწოდოთ სულიერი საუნჯე ყოველთა გაჭირვებულთა. თუ-კი ხორციელის საზრდოს მთხოვნელის განუკითხაობა აღძრავს ჩვენში უსიამოვნო გრძნობასა, როგორ გაათკეცდება იგი გრძნობა, როდესაც სულიერ საზრდოს სალაროს გასაღების მქონებელი დაჰმალავს გასაღებსა და არცა ერთს გაჭირვებულს არ ასაზრდოებს სულიერად! იყავით კეთილის მყოფელნი, ძმანო ჩემნო, იქონიეთ კეთილნი საქმენი: „თვინიერ კეთილთა საქმეთა სარწმუნოება მკვდარ არს“. არ არის ქრისტიანობა, თვინიერ კეთილთა საქმეთა. შეიყვარეთ მოძღვართ-მოწაფეთა ურთიერთნი და სიყვარული დაუდევით საფუძვლად მოქმედებათა თქვენთა. სადაც არ არის სიყვარული, არც იქმნებიან კეთილნი საქმენი.“ (დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზედ).

შემდეგ სამადლობელის პარაკლისისა მისმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ ვლადიმირმა, თანახმად თავად-აზნაურთა და მრავალთა შეკრებილთა თხოვნისა, გარდაიხადა პანაშვიდი მოსახსენებლად დაუვიწყარისა ჩვენის პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილისა. აქავე იყო შედგენილი დეპეშა «ივერიის» რედაქციის სახელობაზე და დეპეშის გაგზავნა საზოგადოებამ დაავალა თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელს თ. ზაქარია ივანეს ძე ვახვახიშვილს.

შემდეგ მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა შებრძანდა წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში, სადაც აკურთხა მოსწავლენი და მასწავლებელნი, კიდევ ნახა ადგილობრივი ეკკლესიები და წაბრძანდა ყოვლად სამღვდელო ალავერდის ეპისკოპოზითურთ და ამალითა ალავერდის ტაძარში, საიდამაც დღესვე წაბრძანდება თეთრ-გიორგში. იქ ღამე დარჩება და ხვალ, ორშაბათს, წაბრძანდება ყვარელში. იქიდამ თელავზე გამოივლის და სიღნაღისაკენ გაემართება.

ნადიკვრელი

---

## გუჯრები დავით გარესჯის უდაბნოსი

№ 6. .. ქართლისა მაკურთხეველი იოანე დიასამიძე. ამბა ალავერდელი ნიკოლოზ, ნინოწმიდელ ეფისკოპოზი არსენ“ და სხ. მიტროპოლიტ-ეპისკოპოზნი არიგებენ-აწესებენ უდაბნოს საქმეს: „ჟამთა ვითარებისაგან დავით გარეჯის უდაბნო მოოხრებულიყო: და შენობა: აღარ: იყო; ქართველთ: მეფის: შაჰნაოზის: (ვახტანგ V) პირმშო ძემან, კახეთის მეფედ დადგინებულმან—არჩილ: კვალად: შენობა ჩაავდო, მღვდელ-მონაზონები: და წინამძღვარი დაუდგინა, წლითი: წლად: გამოსაზრდელი: საზრდელი განუჩინა, პირველებრ: გარიგებას უპირობდა; აღარ: დასცალდა: კიდევ შენობა არ მოიშალა: ის წმიდანი: მღვდელ-მონაზონი: ხორცთაგან: განვიდეს; ჭწ. ჩვენისა შეწევნით გარეჯელისათა: და: ბრძანებითა მეფეთ-მეფის: ერეკლესითა; ვიგულსმოდგინეთ, განვაწესეთ: და: განვარიგეთ: და დავადგინეთ მამად, და ვინც იქ მდეგია, მის უფროსად: და წინამძღვრად: მაჭუტაძე: ონოფრე: ასრე რომ ყველა მისი მორჩილნ იყვნენ და მდაბლად მსახურონი. ვისაც იქ დგომა და მოღვაწება უნდოდეს, მამის მორჩილობით და ნების მყოფლობით იყოს, ახლანდელიც და შემდგომნიც მისი ხელ-ქვეითნი იყვნენ, რაც იქ მდგომმან მონაზონმა ან წირვით, ან სხვის მოღვაწებით რამ იშოონ, უკლებლივ წინამძღვარს მიაბარონ; იმან, როგორც მართებულია, მონასტერსაც ისრე მოახმაროს და იქ მდეგსაცა. ვინც ამ ბძანებას და განაჩენს გადვიდეს, მონასტერს მართლად არ ემსახუროს—განიდევნოს და შეჩვენებული იყოს შვიდის კრებისაგან, ჩვენგან და ჩვენის კრებისაგან. და თუ იქ დგომა არ უნდოდეს, შენდობით და მონასტრის უზიანო საქმით და უკანონოდ გამოვიდეს. ვისაც დგომა უნდოდეს, ესეები ქნას და ამ წესზე დადგეს. მარტის, იბ. ქორონიკონს ტოზ = 1690 წ. ამა განაჩენს, ანუ უკედ ეხლანდელ პროტოკოლს კრებისას თავში უზის ბეჭედი კათალიკოზისა ოთხკუთხედი; შუაში ჯვარია გამოსახული, ხოლო გარს აწერია: „რომელი განხსნათ ქვეყანასა ზედა, ხსნილ იყოს იგი ცათა შინა“. კათალიკოზი იოანე დიასამიძე იყო ბიძა (დედის ძმა) მეფის ირაკლის, რომელიც გამეფდა თუ არა (1687 წ.) მაშინ ვე დაამხო კათალიკოზი ნიკოლოზ ამილახვარი (იოთამის ძე) და ესე იოანე ჰყო კათალიკოზად და ამ ხანად

ოთხ წელიწადს განაგებდა საქართველოს ეკკლესიასა (1687—1691 წ.) იხ. Гудж. 25 გვ. შაჰსოლიმანი სწერს ფირმანში იოანეს 1688 წ. „რადგან თქვენი წინა-მოადგილე (ნიკოლოზი) არ დაემორჩილა ნაზარალი ხანსა (ირაკლის), იგი განვკვეთეთ და თქვენ იოანე დავადგინეთო».) Мцхет. акт. 238 გვ.). 1691 წლიდან ისევ ნიკოლოზ იქმნა კათალიკოზად, რაკი გიორგი ვახტანგის ძე გამეფდა, 1695 წლამდე. ამ დროდან-კი ისევ იოანე იქმნა კათალიკოზად ირაკლის გამეფებისა გამო და მიიცვალა 1700 წ. იხ. ქ—ცხ. 62 და 67 გვ. ბოლოს ხელს აწერენ: ბოდბელი ევდემოზ, რუსთველი ნიკოლოზ, ალავერდელი ნიკოლოზ, სამებელი ნიკოლოზ, ნინოწმინდელი არსენ, ტფილელი დომენტი, მთ—ეპ ქრისტეფორე. 1, ბოდბელი ევდემოზ (1689—1699 წ.) იყო დიასამიძე, ძმის წული კათალიკოზის იოანესი, რომლის შემდეგ კათალიკოზად იქმნა დადგენილ. ნიკოლოზ რუსთველი 1674—1692 წ. იყო. მერე ნინოწმინდელი. ალავერდელი ნიკოლოზ, ჩოლაყაშვილი, იყო 1684—1724 წ. კაცი დიდი გავლენის მქონე საქართველოს ისტორიულ ბედ-იღბალზედ. ამაზედ იხ. ქ—ცხ. 140 გვ. საინტერესო ცნობები.

სამებელი ნიკოლოზ ჩოლაყაშვილი 1675—1724 წ. ახლო ნათესავი ნიკოლოზ ალავერდელისა. ნინოწმინდელი არსენ იყო 1687—1691 წ. (დოლენჯიშვილი). ტფილელი დომენტი 1688—1730 წ. ორბელიანი, ძე ასლანბეგისა და ძმა სარდალის ლუარსაბისა. მოღვაწე ვახტანგის სამეფოსა... [illegible] ტეფორე იყო 1688—1700 წ. მიიცვალა ამ წელს 22 ნოემბერს.

პ. ცხვილოელი.

## რუსეთი

სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სატყეო დეპარტამენტს განკარგულება მოუხდენია, რომ სხვა-და-სხვა გუბერნიასა და ქალაქებში დაარსდეს საწყობები, სადაც კერძო კაცთ უნდა მიჰყიდონ ხოლმე თესლეულობა სხვა-და-სხვა ხეთა, ხეხილებისა და ბოსტნეულობისა და ამით გაუადვილონ მცხოვრებთ ტყეების, ბაღების და ბოსტნების გაშენება.

— გაზ. „Сибирскій Вѣстникъ“-ის სიტყვით, ციმბირში ადვოკატი-ქალი ბევრია. მარტო ტომსკში 30—40 ქალია სასამართლოებში ვექილებად. მაგრამ წელს თებერვალს აეკრძალათ ქალებს ვექილება. 15 თებერვალს სასამართლოში არჩევდნენ საქმეს ქალის კუდრიავცევისას, რომელიც 24,000 მანეთს ედავებოდა ბ-ნს მ. დ. ბუტინს. კუდრიავცევას ვექილად სასამართლოს წინ წარდგა კერძო მასწავლებელი ქალი ვალენტინა კიჩეევისა. საქმის გარჩევის დაწყებამდე სასამართლოში განხილულ იქმნა ის საგანი, აქვს თუ არა ქალს რუსეთის კანონის ძალით ვექილობის უფლება. მიჰმართეს იუსტიციის მინისტრს, რომელმაც ცირკულიარით აცნობა სასამართლოს, რომ 1871 წელს უმაღლესად გამოცემულ კანონის ძალით ქალს ვექილობის ნება არა აქვსო. ამიტომ ვალენტინა კიჩეევისას ვექილობა აეკრძალა.

ამის შესახებ გაზეთი Рус. Жиз.-ი ამბობს, რომ რუსეთში ქალებს ბედი არ უღიმის თავისუფალ და დამოუკიდებელ მოქმედებისათვის!..

## დეპეშა

28 აპრილი

**ლონდონი.** დღეს, დედოფლის ვიქტორიისა და აურებელ ხალხის თანადასწრებით აკურთხეს «Imperial institoute»-ი. ბუკკინგემის სასახლიდგან დედოფალს აცილებდნენ ინდოეთისა, ავსტრალიისა და კანადის ჯარის-კაცნი, მოქვეითენი და მხედარნი. პრინცმა უელისამ მიართვა დედოფალს ოქროს გასაღები ბრიტანიის იმპერიის ყველა ადგილებიდგან მოტანილ ძვირფასის თვლებით. შემკული დღესასწაულს დაესწრნენ დიპლომატები, მინისტრები, მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენელნი.

პეტერბურგის ბირჟა, 23 აპრილი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,68 | 7,70 | — ,, |
| ტრამოუნის კუპონები . | $153\frac{1}{2}$ | 155 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1,06 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანი [illegible] | — ,, | — ,, | [illegible] |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 221 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | $99\frac{5}{8}$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | $194\frac{3}{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — ,, | 101 | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | $100\frac{1}{4}$ | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | 102 | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | $100\frac{1}{4}$ | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | $99\frac{3}{4}$ | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო ატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

## განცხადებანი


### კბილის ექიმი ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—49)

ახალ-სენაკში

[illegible]

დაიბეჭდა და დაურიგდა ყველა წიგნის მაღაზიებს, სადაც-კი ქართული წიგნები ისყიდება, შემდეგი ახლად გამოცემული წიგნები:

1) „ჩანგი“, პირველ გამოცემიდან გადმობეჭდილი და მრავალი ახალი ლექსების და სცენების დამატებით, მშვენიერი ყდით, ფასი 1 მ.

2) „გამიჯნურებულ ქალ-ვაჟის მიწერ მოწერა“, ვინმე მესხისა, 5 კ.

3) „არსენას ლექსი“ სურათით 5 კ.

4) „ვეფხის-ტყაოსანი“, მეორედ გამოცემული ქ. ოზურგეთში, გასწორებული, მოკლე ბიოგრაფიით და სურათით, 40 კაპ.

5) „რამდენიმე მოთხრობა“, ნინოშვილისა, 50 კ.

6) „სიმონა“ მისივე 30 კაპ.

37) „ზანგის სამკვიდრო“, თარგმანი დათიკო ვერმიცანაშვილისა, 10 კ. და სხვა-და-სხვა წიგნები.

ცოტა-ღა დარჩა და ისყიდება წერა-კითხვ. გამავრ. საზოგ. და ამხანაგობის მაღაზიაში

საქართველოს კალენდარი

1893 წლისათვის

ფასი 45 კ. (ყდით 55 კ.)

კალენდარი შეიცავს 560-მდე წმინდათ დასტამბულ გვერდს და დასურათებულია გრიკელის ნახატებით.

უბის წიგნი 1893 წლისთვის

„სულ გაიყიდა“

ქართული

მიწერ-მოწერის კრებული

ფასი 40 კ. (ყდით 50 კ.)

ისყიდება იმავე წიგნის მაღაზიაში.

### საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს **ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა, თამბაქოსა, სვიისა,** და **ბამბის** ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება **ცალკე განყოფილება** ყოველ ზემოხსენებულის **სეტყვისაგან დაზღვევისათვის.** ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების სააგენტოს, რომელიც იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—27) წარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთაევი

### რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი

(ძირის ფული 1.000,000 მან.)

ისყიდება 5%-იანი **მომგებიანი ბილეთები** I, II, და III სესხისა თვეში **ხუთ-ხუთ მანათის** გარდახდით. მსურველთ შეუძლიანთ მეტ-მეტიც იხადონ თვე-და-თვე.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი არა ნაკლებ **15 მანათისა.**

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა **65 კაპ.**

საგენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9 საათიდამ 2 საათამდე.

(50—17) აგენტი დ. ქ. თუთაევი.

### საკომერციო ცეცხლისაგან დაზღვევის საზოგადოება

დაზღვევა ცეცხლისაგან მოძრავისა და უძრავის ქონებისა.

საგენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9—2 საათა-მდე.

(50—20) აგენტი დ. ქ. თუთაევი

### საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „ივერია“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 ,, | 9 ,, 50,, | 5 ,, | 5 ,, 50,, |
| 10 ,, | 8 ,, 75,, | 4 ,, | 4 ,, 75,, |
| 9 ,, | 8 ,, —,, | 3 ,, | 3 ,, 50,, |
| 8 ,, | 7 ,, 25,, | 2 ,, | 2 ,, 75,, |
| 7 ,, | 6 ,, 50,, | 1 ,, | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებ უნდა დაიბარონ გაზეთია შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის ალითა, მის მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. გა ცახადბა მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის გვარობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა გდა წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.


Доз. ценз. Тифлисъ, 29-го Апрѣля 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.